



საქართველოს ფინანსთა სამინისტრო



საქართველოს 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი



საქართველოს მთავრობის 10-პუნქტიანი გეგმა

1. მაკროეკონომიკური სტაბილურობა
2. მიმდინარე ანგარიშის ბალანსის გაუმჯობესება
3. საუკეთესო საინვესტიციო და ბიზნესგარემოს შექმნა/შენარჩუნება
4. რეგიონულ სავაჭრო და ლოგისტიკურ ცენტრად ჩამოყალიბება
5. ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება
6. სოფლის მეურნეობის განვითარება
7. განათლების სისტემის გაუმჯობესება
8. სოციალური პოლიტიკის დახვეწა
9. ხელმისაწვდომი, მაღალხარისხიანი ჯანდაცვის სისტემის ჩამოყალიბება
10. ურბანული და რეგიონული განვითარება



საქართველოს სუვერენული საკრედიტო რეიტინგის გაუმჯობესება

STANDARD
&POOR'S

FitchRatings

MOODY'S
INVESTORS SERVICE


BB-, სტაბილური

BB-, სტაბილური

Ba3, სტაბილური


რეფორმებზე დაფუძნებული წარმატებული ეკონომიკური კურსი

ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპი 2010 წელს, 2009 წლის მცირე ვარდნის შემდეგ




წყარო: საქსტატი, ფინანსთა სამინისტრო

სწრაფად მზარდი მშპ ერთ სულ მოსახლეზე – PPP და ნომინალური



წყარო: საქსტატი, ფინანსთა სამინისტრო, IMF

ნომინალური მშპ-ის დივერსიფიცირებული სტრუქტურა*



* გამოყენებულია ნომინალური მშპ (წინასწარი) საბაზისო ფასებში

წყარო: საქსტატი


მოსალოდნელზე უფრო სწრაფი ეკონომიკური ზრდა

2011 წლის რეალური მშპ-ის ზრდის პროგნოზი 5.5%-დან გაიზარდა **6.0%**-მდე, რეალური და ფინანსური სექტორის მაღალი აქტივობის, გაზრდილი საგადასახადო შემოსავლების და დადებითი ეკონომიკური ინდიკატორების ფონზე.

რეალური ეკონომიკური ზრდა კვარტლების მიხედვით (წინასწარი მონაცემები):



- 2011 წ. პირველი კვარტალი 6.1%
- 2011 წ. მეორე კვარტალი 4.9%
- 2011 წ. მესამე კვარტალი 7.5%

დივერსიფიცირებული ზრდის დინამიკა (2011 წლის მე-2 კვარტლის მონაცემებზე დაყრდნობით)




წყარო: საქსტატი

საბიუჯეტო დეფიციტის შემცირების სწრაფი დინამიკა




კაპიტალური ხარჯების მაღალი მაჩვენებელი რეგიონის ქვეყნებთან შედარებით


შრომის ანაზღაურება (%-ად მთლიან ხარჯებთან, 2009)




კაპიტალური ხარჯები (%-ად მთლიან ხარჯებთან, 2009)



კაპიტალური VS მიმდინარე ხარჯები (კაპიტალური ხარჯების მაღალი წილი)




2012 წლის ნაერთი ბიუჯეტის პროექტის შემოსულობები და დეფიციტის დაფინანსების წყაროები




დონორების დახმარება

ბრიუსელის დონორთა მხარდაჭერა - სახელმწიფო და კერძო სექტორი


დაპირებული ~\$4.5 მლრდ



გაფორმებული ფინანსური რესურსი სექტორების მიხედვით




სახელმწიფო სექტორი: მიღებული ფინანსური მხარდაჭერა დონორების მიხედვით






სახელმწიფო ვალის დინამიკა

სახელმწიფო ვალის ინდიკატორები: ხელსაყრელი ვალის დინამიკა




შენიშვნა: მოიცავს ეროვნული ბანკის ვალდებულებებს საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიმართ

მთავრობის საგარეო ვალის მომსახურება*




*მთავრობის საგარეო ვალის მომსახურების პროგნოზი ყვრდნობა 2011 წლის 30 ივნისის ნაშთს.

ეკვობონდი 2013




ეკვობონდი 2021




ევროზონის შემოსავლიანობის და ფასის დინამიკა

შემოსავლიანობის დინამიკა



წყარო: GSI


ფასის დინამიკა



წყარო: GSI

სახელმწიფო ვალის პორტფელის პარამეტრები


შელავათიანი სახელმწიფო ვალი და დაბალი საპროცენტო განაკვეთები (მილიონი ლარი)



საგარეო პორტფელის საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი 2011 წლის ოქტომბრის ბოლოსთვის **2.0%**


წყარო: ფინანსთა სამინისტრო

სახელმწიფო საგარეო ვალის საპროცენტო განაკვეთის ტიპები: დაბალი საპროცენტო რისკი




წყარო: ფინანსთა სამინისტრო

მთავრობის საგარეო ვალის ამორტიზაცია




შენიშვნა: მთავრობის საგარეო ვალის მომსახურების პროგნოზი ყურდნობა 2011 წლის 30 ივნისის ნაშთს.

მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი : 50%-იანი კლება 2008 წლის მაჩვენებელთან შედარებით



წყარო: ეროვნული ბანკი

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები



წყარო: ეროვნული ბანკი, საკსტატი

ფასების დინამიკა


მსოფლიო ფასები სურსათზე



წყარო: UN FA

საშუალო ინფლაციის დონე - საქართველო


საშუალო ინფლაციის დონე საქართველოში
(პერიოდის საშუალო წინა წლის შესაბამის პერიოდთან)



წყარო: საესტატი

ინფლაციის დინამიკა - საქართველო


— საბაზო (სურსათის გამოკლებით)
— საბაზო (სურსათის და ენერგომატარებლების გამოკლებით)
— წლიური ინფლაცია



წყარო: საესტატი

ყოველთვიური ინფლაცია (წინა წლის შესაბამის თვესთან)

ინფლაციის დონე საქართველოში
(წინა წლის შესაბამის თვესთან)



წყარო: საესტატი



პროგრამული ბიუჯეტი

- სახელმწიფო ფინანსების მართვის კუთხით განხორციელებული რეფორმების შემდგომი ეტაპი პროგრამული ბიუჯეტის დანერგვაა;
- 2012 წლისთვის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი პირველად მომზადდა პროგრამული ფორმატით;
- პროგრამული ბიუჯეტის მომზადების მეთოდოლოგია საერთაშორისო სავალუტო ფონდის, მსოფლიო ბანკის, საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტისა და კონტროლის პალატის წარმომადგენლებთან კონსულტაციების შედეგად იქნა შემუშავებული;
- ბიუჯეტის პროექტში და მის დანართებში მოცემულია ბიუჯეტის პრიორიტეტების ფარგლებში დაგეგმილი ყველა პროგრამის აღწერა და მიზანი, მოსალოდნელი შედეგები და შედეგების შეფასების ინდიკატორები;
- პროგრამული ბიუჯეტი უფრო გამჭვირვალეს და შედეგებზე ორიენტირებულს ხდის წლის განმავლობაში დაგეგმილ ხარჯებს;



სახელმწიფო ბიუჯეტის სტრუქტურა

- სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტთან და მის თანდართულ მასალებთან ერთად „საბიუჯეტო კოდექსის“ შესაბამისად პარლამენტს წამორედგინა ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების (BDD) დოკუმენტი;
- BDD დოკუმენტი წარმოადგენს ქვეყნის განვითარების საშუალოვადიან (4 წლიან) სამოქმედო გეგმას, რომლის ფარგლებშიც ბიუჯეტის პროექტში გაწერილია კონკრეტული წლის განმავლობაში დაგეგმილი პროექტები. ამავე დოკუმენტშია წამოდგენილი საქართველოს მთავრობის „10 პუნქტიანი გეგმა“.
- სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი წარმოდგენილია შემდეგი სტრუქტურით:
 - პირველ ოთხ თავში მოცემულია სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითადი პარამეტრები, მათ შორის შემოსულობები, გადასახდებლები, ფუნქციონალური კლასიფიკაცია, სახელმწიფო ვალის საპროგნოზო მოცულობა და სხვა;
 - მე-5 თავში წარმოდგენილია ბიუჯეტით განსაზღვრული პრიორიტეტები და მათ ფარგლებში დაგეგმილი პროგრამების და ქვეპროგრამების აღწერა და მიზანი (პროგრამები დაჯგუფებულია პრიორიტეტების მიხედვით);
 - მე-6 თავში პროგრამები დაჯგუფებულია მათი განმახორციელებელი მხარჯავი დაწესებულებების მიხედვით და წარმოდგენილია თითოეული პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების მოცულობა. ამავე თავშია განსაზღვრული საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდებების მოცულობაც;
 - მე-7 თავში წარმოდგენილია ავტონომიური რესპუბლიკების და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის გათვალისწინებული ტრანსფერების დეტალური ჩაშლა;
 - მე-8 და მე-9 თავებში მოცემულია ბიუჯეტის კანონის მარეგულირებელი და გარდამავალი დებულებები;
- პროგრამული ბიუჯეტის დანერგვის პარალელურად, ბიუჯეტის პროექტის მეტი გამჭირვალობის მიზნით პროექტს თანახლავს ინფორმაციული დანართები, სადაც ინფორმაცია უფრო დეტალურადაა წარმოდგენილი, კერძოდ:
 - პროგრამული ბიუჯეტის დანართი, რომელშიც მოცემულია თითოეული პროგრამისა და ქვეპროგრამის აღწერა, მათი მოსალოდნელი შედეგი და შედეგების შეფასების ინდიკატორები;
 - კაპიტალური ბიუჯეტის დანართში, სადაც მოცემულია ინფორმაცია 2012 წლის ბიუჯეტით დაგეგმილი კაპიტალური პროექტების შესახებ (მათ შორის პროექტის მთლიანი ღირებულება, მისი დაფინანსების წყაროები, დასრულების ვადები და სხვა);
 - ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამების დეტალური ჩაშლა და ინფორმაცია თითოეული პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებების განმკარგავი საბიუჯეტო ორგანიზაციების შესახებ;

ძირითადი მაკროეკონომიკური ინდიკატორები




| დასახელება | 2009 ფაქტი | 2010 ფაქტი | 2011 პროგნოზი | 2012 წინასწარი პროგნოზი | 2013 წინასწარი პროგნოზი | 2014 წინასწარი პროგნოზი |
|--|---------------|---------------|------------------|-------------------------------|-------------------------------|-------------------------------|
| მშპ-ს რეალური ზრდა | -3.8% | 6.3% | 6.0% | 5.0% | 6.5% | 7.0% |
| ნომინალური მშპ (მლნ ლარი) | 17,986.0 | 20,743.4 | 23,747.0 | 26,430.5 | 29,837.3 | 33,841.5 |
| მშპ ერთ სულ მოსახლეზე (აშშ დოლარი) | 2,455.2 | 2,623.0 | 3,148.7 | 3,504.5 | 3,956.2 | 4,487.1 |
| ინფლაცია | 1.7% | 7.1% | 8.0% | 6.0% | 6.0% | 6.0% |
| საბიუჯეტო დეფიციტი | 1,648.3 | 1,383.2 | 880.8 | 930.1 | 866.4 | 834.0 |
| საბიუჯეტო დეფიციტი %-ულად მშპ-სთან | 9.2% | 6.7% | 3.7% | 3.5% | 2.9% | 2.5% |
| ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები | 4,388.9 | 4,867.4 | 6,090.0 | 6,621.0 | 7,198.0 | 7,726.0 |
| საგადასახადო შემოსავლები %-ულად მშპ-სთან | 24.4% | 23.5% | 25.6% | 25.1% | 24.1% | 22.8% |

ნაერთი ბიუჯეტი



■ ნაერთი ბიუჯეტის შემოსულობები — მშპ-ს % ■ ნაერთი ბიუჯეტის გადასახდელები




სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები - 2012 წელი



| დასახელება | 2012 წლის პროექტი (მლნ ლარი) | %-ულად მთლიან ჯამთან |
|---|------------------------------------|----------------------------|
| საბიუჯეტო სახსრები | 6,830.0 | 85.2% |
| გადასახადები | 6,300.0 | 78.6% |
| სხვა შემოსავლები | 300.0 | 3.7% |
| არაფინანსური აქტივების კლება <i>(პრივატიზაცია)</i> | 70.0 | 0.9% |
| ფინანსური აქტივების კლება <i>(სესხების დაბრუნება)</i> | 60.0 | 0.7% |
| საშინაო ვალის ზრდა <i>(სახაზინო ვალდებულებები)</i> | 100.0 | 1.2% |
| დონორების დაფინანსება | 1,185.4 | 14.8% |
| გრანტები | 239.4 | 3.0% |
| კრედიტები | 946.0 | 11.8% |
| ჯამი | 8,015.4 | 100.0% |

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები - 2012 წელი

შემოსულობები ძირითადი კატეგორიების მიხედვით



დეფიციტური დაფინანსების კლებადი ტენდენცია: 2009-2012 წლები




სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები



| დასახელება | მლნ ლარი | | |
|------------------------|----------------|----------------|--------------|
| | 2011 | 2012 | სხვაობა |
| საშემოსავლო გადასახადი | 1,402.0 | 1,567.0 | 165.0 |
| მოგების გადასახადი | 835.0 | 900.0 | 65.0 |
| დღგ | 2,786.0 | 3,036.0 | 250.0 |
| აქციზი | 621.0 | 644.0 | 23.0 |
| იმპორტის გადასახადი | 92.0 | 108.0 | 16.0 |
| სხვა გადასახადები | 39.0 | 45.0 | 6.0 |
| სულ ჯამი | 5,775.0 | 6,300.0 | 525.0 |

სახელმწიფო ბიუჯეტის გრანტები




- ეკონომიკური განვითარების პარალელურად ეტაპობრივად მცირდება დონორების მიერ გამოყოფილი გრანტების მოცულობა;
- 2012 წელს მოსალოდნელი გრანტებიდან 74,8 მლნ არის საბიუჯეტო დახმარება, ხოლო 164.6 მლნ ლარი საინვესტიციო (ხარჯზე მიბმული) გრანტები;

სახელმწიფო ბიუჯეტის სხვა შემოსავლები



| დასახელება | 2012 წლის პროექტი (მლნ ლარი) |
|--|---------------------------------|
| დივიდენდები | 55.0 |
| ჯართის ექსპორტის საფასური | 30.0 |
| სანქციები, ჯარიმები და საურავები | 100.0 |
| ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახადები | 43.8 |
| პროცენტები | 17.0 |
| რენტა | 10.0 |
| გზით სარგებლობის საფასური | 20.0 |
| სხვა დანარჩენი კატეგორიები | 34.2 |
| ჯამი | 300.0 |

ვალდებულებების ზრდა




- სახელმწიფო ბიუჯეტის ვალდებულებების ზრდა შეადგენს 1,046.0 მლნ ლარს, მათ შორის:
 - საშინაო ვალდებულებების ზრდა - 100.0 მლნ ლარი;
 - საგარეო ვალდებულებების ზრდა - 946,0 მლნ ლარი;



2012 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული საგარეო კრედიტები


- საგარეო კრედიტები - 946.0 მლნ ლარი
 - საბიუჯეტო კრედიტები - 66.0 მლნ ლარი:
 - მსოფლიო ბანკის კრედიტი - 66.0 მლნ ლარი;
 - საინვესტიციო (ხარჯზე მიბმული) კრედიტები - 880.0 მლნ ლარი:
 - მსოფლიო ბანკი - 181.4 მლნ ლარი;
 - აზიის განვითარების ბანკი - 253.1 მლნ ლარი;
 - ევროპის საინვესტიციო ბანკი - 115.8 მლნ ლარი;
 - გერმანია - 109.3 მლნ ლარი;
 - იაპონია - 70.3 მლნ ლარი;
 - ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი - 72.3 მლნ ლარი;
 - სხვა დონორები - 77,8 მლნ ლარი;

სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები (2007-2012 წლები)




სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები


სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებების გაშლა




სხვა დანარჩენი



სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები



„სხვა ხარჯები“-ს მუხლით დაფინანსებული ღონისძიებები




სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული პრიორიტეტები


ბიუჯეტის პრიორიტეტის დასახელება

2012 წელი
(მლნ ლარი)

| პრიორიტეტი | დასახელება | 2012 წელი (მლნ ლარი) |
|-------------|---|----------------------|
| I | ხელმისაწვდომი ხარისხიანი ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა | 1,792.6 |
| II | თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება | 1,451.1 |
| III | რეგიონალური განვითარება, ინფრასტრუქტურა და ტურიზმი | 1,230.5 |
| IV | განათლება, მეცნიერება და პროფესიული მომზადება | 642.8 |
| V | მაკროეკონომიკური სტაბილურობა და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება | 163.9 |
| VI | ინსტიტუციონალური განვითარება და ქვეყნის ინტერესების სამართლებრივი მხარდაჭერა | 169.3 |
| VII | იძულებით გადაადგილებულ პირთა და მიგრანტთა სახელმწიფო მხარდაჭერა და რეინტეგრაციის ხელშეწყობა | 132.3 |
| VIII | კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი | 193.8 |
| IX | საერთაშორისო ურთიერთობები და ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაცია | 78.6 |
| X | სოფლის მეურნეობა | 120.0 |
| XI | სასამართლო სისტემა | 47.5 |
| XII | გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების მართვა | 26.6 |
| ჯამი | | 6,049.0 |



შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო



შენიშვნა: დონორების დაფინანსების გარეშე

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო




მლნ ლარი

| შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო | 2011 წლის გეგმა | 2012 წლის პროექტი | სხვაობა |
|--|-----------------|-------------------|--------------|
| საპენსიო უზრუნველყოფა | 909.3 | 1,058.4 | 149.1 |
| სოციალური დახმარებები | 271.5 | 273.9 | 2.4 |
| სოციალური რეაბილიტაცია და ბავშვზე ზრუნვა | 13.0 | 13.6 | 0.6 |
| ჯანმრთელობის დაზღვევა | 125.0 | 168.5 | 43.5 |
| ჯანმრთელობის დაცვის სხვა პროგრამები | 163.5 | 169.8 | 6.3 |
| სამინისტროს პროგრამების შესაძლო დეფიციტის დაფარვა | 0.0 | 15.0 | 15.0 |
| სამედიცინო დაწესებულებების რეაბილიტაცია და აღჭურვა | 39.6 | 12.0 | -27.6 |
| მოსახლეობის სურსათისა და ენერგოვაუჩერებით უზრუნველყოფა | 63.9 | 0.0 | -63.9 |
| სხვა დანარჩენი ხარჯები | 69.4 | 56.8 | -12.6 |
| სულ ჯამი | 1,655.2 | 1,768.0 | 112.8 |

- მოცემულ ცხრილში გათვალისწინებული არ არის დონორების დაფინანსებული პროექტები, ვინაიდან აღნიშნული პროექტების უმრავლესობა დონორთა მოთხოვნით (გლობალ ფონდი) მომდევნო წელს განხორციელდება არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ;

2012 წლის საპენსიო რეფორმა




- 2012 წლის 1 სექტემბრიდან განხორციელდება საპენსიო რეფორმა, კერძოდ:
 - 67 წელზე მეტი ასაკის პენსიონერების და პირველი ჯგუფის ინვალიდების საპენსიო პაკეტი განისაზღვრება 140 ლარით (მშ. დაახლოებით 15 ლარი დაზღვევა);
 - 67 წლამდე პენსიონერების საპენსიო პაკეტი განისაზღვრება 125 ლარით (მშ. დაახლოებით 15 ლარი დაზღვევა);
 - სახელმწიფო დააზღვევს ყველა პენსიონერს;
 - საპენსიო პაკეტში გაერთიანდება პენსია, სამუშაო სტაჟის დანამატი და დაზღვევა;
- საპენსიო რეფორმის განხორციელებისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან 2012 წელს დამატებით გამოიყოფა 74,5 მლნ ლარი;
- საპენსიო რეფორმის პარალელურად ჯანდაცვის სისტემის განვითარების და მოსახლეობისათვის სამედიცინო ხარჯების ტვირთის შემსუბუქების მიზნით 2012 სექტემბრიდან სახელმწიფო დააზღვევს:
 - 0-5 წლის ასაკის ყველა ბავშვს - 290,0 ათასზე მეტი ბენეფიციარი;
 - ყველა პენსიონერს და პირველი ჯგუფის ინვალიდს - 690,0 ათასზე მეტი ბენეფიციარი;

სამედიცინო ინფრასტრუქტურა

- სამედიცინო დაწესებულებების რეაბილიტაციისა და თანამედროვე ტექნიკით აღჭურვის მიზნით სამინისტროს ბიუჯეტში გამოყოფილია 12,0 მლნ ლარი. ფსიქიატრიული ინფრასტრუქტურის განვითარება განხორციელდება:
 - ლანჩხუთში;
 - თელავში;
 - სურამში;
 - ახალციხეში;
 - სენაკში;
- 2011-2013 წლებში:
 - 2011 წლის ბოლომდე დასრულდება 52 სამედიცინო დაწესებულების მშენებლობა-რეაბილიტაცია (1 980 საწოლი);
 - 2012 წლის ბოლოს - 34 (2 371 საწოლი);
 - 2013 წლის ბოლოს - 19 (856 საწოლი);
- სულ 2013 წლის ბოლოსთვის იფუნქციონირებს ახლად აშენებული ან რეაბილიტირებული და თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი 152 სამედიცინო დაწესებულება 7 700-ზე მეტი საწოლით:

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო



განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო



მლნ ლარი


| განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო | 2011 წლის გეგმა | 2012 წლის პროექტი | სხვაობა |
|---|--------------------|----------------------|-------------|
| სკოლების ვაუჩერული დაფინანსება | 320.7 | 327.0 | 6.3 |
| საჯარო სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაცია და აღჭურვა | 32.0 | 40.0 | 8.0 |
| საჯარო სკოლების ინტერნეტიზაცია | 7.4 | 5.4 | -2.0 |
| პირველკლასელების კომპიუტერებით უზრუნველყოფა | 26.7 | 25.6 | -1.1 |
| სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახების მოსწავლეების წიგნებით უზრუნველყოფა | 5.6 | 6.5 | 0.9 |
| პროფესიული სასწავლებლების დაფინანსება | 6.4 | 7.5 | 1.1 |
| უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელშეწყობა | 16.2 | 14.3 | -1.9 |
| სტუდენტების სასწავლო და სამაგისტრო გრანტები | 42.2 | 51.6 | 9.4 |
| სტუდენტების დასაქმების ხელშეწყობის პროგრამა | 0.0 | 15.0 | 15.0 |
| მეცნიერების ხელშეწყობა | 24.8 | 30.0 | 5.2 |
| სხვა დანარჩენი ხარჯები | 70.1 | 72.1 | 2.0 |
| სულ ჯამი | 552.1 | 595.0 | 42.9 |



განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

- განხორციელდება სერტიფიცირებული მასწავლებლების ხელფასების ზრდა;
- ყველა რეგიონში გაგრძელდება საჯარო სკოლების მშენებლობა რეაბილიტაცია და მათი აღჭურვა სათანადო ინვენტარით, რისთვისაც გამოყოფილია 40,0 მლნ ლარი;
- დაიწყება სტუდენტების დასაქმების ხელშეწყობის პროგრამა და ყველა სტუდენტს არდადეგების პერიოდში ექნება საშუალება დასაქმდეს შესაბამისი პროფილის ანაზღაურებად სამუშაოზე;
- საჯარო სკოლების ყველა პირველკლასელი და მათი დამრიგებელი უზრუნველყოფილი იქნებიან „ნეტბუკებით“, ხოლო წარჩინებული მოსწავლეები დასაჩუქრდებიან პორტატული კომპიუტერებით, რისთვისაც გამოყოფილია 25,6 მლნ ლარი;
- სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახების ყველა კლასის მოსწავლე უზრუნველყოფილი იქნება სასწავლო სახელმძღვანელოთი;
- საქართველოს არაქართულენოვან საჯარო სკოლებში ქართული ენის სწავლების გაუმჯობესების მიზნით შეირჩევიან პედაგოგები, რომლებიც ადგილობრივ პედაგოგებთან ერთად უზრუნველყოფენ ქართული ენის სწავლებას სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლისა და კახეთის არაქართულენოვან სკოლებში. ამ მიზნით გამოყოფილია 9,0 მლნ ლარი;
- ინგლისური ენის სწავლების გაძლიერების მიზნით გაგრძელდება ინგლისურენოვანი მასწავლებლების ჩამოყვანა;

სოფლის მეურნეობის სამინისტრო



სოფლის მეურნეობის სამინისტრო


- მექანიზაციის რაოდენობის ზრდა და მომსახურების სერვის ცენტრების ამოქმედება
 - 11 მექანიზაციის სერვის ცენტრის ამოქმედება რეგიონების მიხედვით
 - სასოფლო სამეურნეო ტექნიკის შეძენა;
 - მექანიზატორების გადამზადება და სწავლება;
 - ლიზინგის სისტემის განვითარება;
- ღვინის ექსპორტის ზრდა – 22 მილიონ ბოთლამდე
 - ახალი ბაზრების იდენტიფიკაცია;
 - ღვინის პოპულარიზაცია საექსპორტო ბაზრებზე (გამოფენები, დეგუსტაციები, ენოთეკა, ქართული დღეები, ქართული რესტორნები);
- ირიგაციის სისტემების რეაბილიტაცია და ახალი ტექნოლოგიების პოპულარიზაცია
 - 1000 ჰექტრამდე ფართობზე თანამედროვე სისტემების მონტაჟი (წვეთოვანი და დაწვიმებითი სისტემები);
 - არსებული სარწყავი არხების რეაბილიტაცია;
 - გადახდის სისტემის მოწესრიგება;
- მეცხოველეობის და მეფრინველეობის განვითარება
 - თანამედროვე ტიპის ფერმების ორგანიზება რეგიონებში;
 - ახალი ჯიშების და წარმოების ტექნოლოგიების შემოტანა დანერგვა;
 - ხორცის წლიური იმპორტის მინიმუმ 5 ათასი ტონა ადგილობრივი პროდუქციით ჩანაცვლება;

სოფლის მეურნეობის სამინისტრო


- **სასოფლო-სამეურნეო მიწების ათვისების გაუმჯობესება**
 - განხორციელდება სხვადასხვა პროგრამები მოსახლეობის საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების მაქსიმალურად ათვისების ხელშეწყობის მიზნით;
- **სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა**
 - ხორბლის ადგილობრივი წარმოების მოცულობის ზრდა (170,000 ტონამდე);
 - სიმინდის წარმოების მოცულობის ზრდა 500,000 ტონამდე (ექსპორტი და გადამუშავება მეცხოველეობის საკვები ბაზის განვითარების მიზნით);
- **ფერმერთა საკონსულტაციო/მომსახურების ცენტრების განვითარება**
 - მინიმუმ 6 ექსტენციის ცენტრის ორგანიზება რეგიონების მიხედვით (ნიადაგის ლაბორატორია, ამინდის სადგური, ტრეინინგი);
 - გლეხების და ფერმერების გადამზადება, ტრეინინგი და ინფორმაციით უზრუნველყოფა;
- **თანამედროვე მეთოდებით პროდუქციის წარმოების პოპულარიზაცია**
 - ბოსტნეული და ბალჩეული კულტურების მინდრვების გაშენება;
 - აღნიშნულ ნაკვეთებში სადემონსტრაციო დღეების მოწყობა და მოსახლეობისთვის მიღწეული შედეგების გაცნობა;
 - მოწეული მოსავალის თანამედროვე ტექნოლოგიებით დამუშავება შენახვა და ექსპორტი;

დევილთა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება

- 2008-2011 წლებში დევილთა სახლების მშენებლობა-რეაბილიტაციაზე მიიმართა 412,2 მლნ ლარი;
- 2012 წელს აღნიშნული მიზნებისათვის გამოყოფილია 96,2 მლნ ლარი;
- განვილილ პერიოდში ახლად აშენებულ სახლებში შესახლდა, კომპენსაცია მიეცა და საცხოვრებელი ფართი დაუკანონდა 38,0 ათასამდე ოჯახს (152,0 ათასი სული);
- ელექტროენერჯის გამრიცხველიანება - 27,0 ათასი აბონენტი
- გაზის გამრიცხველიანება - 11,0 ათასი აბონენტი;



საგზაო ინფრასტრუქტურა




საგზაო ინფრასტრუქტურა



| დასახელება | 2012 წელი (მლნ ლარი) |
|---|-------------------------|
| ავტომაგისტრალი რიკოთის გვირაბამდე (WB) | 114.2 |
| ზესტაფონი-ქუთაისი-სამტრედიის ავტომაგისტრალი (JICA) | 91.0 |
| ქობულეთის შემოვლითი ავტომაგისტრალი (ADB) | 93.0 |
| თბილისი-რუსთავის ავტომაგისტრალი (ADB) | 49.3 |
| გუდაური-ყაზბეგის გზაზე გვირაბის მშენებლობა (ADB) | 10.0 |
| მდინარეთა ნაპირსამაგრი სამუშაოები | 5.0 |
| შიდასახელმწიფოებრივი გზების რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა | 186.3 |
| ჯამი | 548.8 |

წყალ-კანალიზაციის სისტემები

- 2012 წელს წყალ-კანალიზაციის სისტემების სარეაბილიტაციო სამუშაოების დასაფინანსებლად გამოყოფილია 194,7 მლნ ლარი;
- გამოყოფილი თანხის ფარგლებში გაგრძელდება ბათუმის, ხელვაჩაურის და ქობულეთის კომუნალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია;
- მესტიასა და ანაკლიაში განხორციელდება წყალმომარაგებისა და კანალიზაციის ქსელის მოწყობა;
- ანაკლიაში დაიწყება კანალიზაციის გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა;
- წყალ-კანალიზაციის სისტემების მშენებლობა-რეაბილიტაცია დაიწყება / გაგრძელდება ქუთაისში, ფოთში, ზუგდიდში და ურეკში;



მუნიციპალური და ტურისტული ინფრასტრუქტურა

- ტურისტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია განხორციელდება:
 - მესტიაში;
 - ანაკლია-განმუხურში;
 - გოდერძის კურორტზე;
 - ზუგდიდში;
 - ახალციხეში;
 - გორში;
 - თელავში;
 - ბორჯომში;
 - ბახმაროში;
- დაიწყება კახეთის განვითარების პროექტი (WB);
- გაგრძელდება მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია სხვადასხვა რეგიონებში, რისთვისაც გამოყოფილია 101,6 მლნ ლარი (WB, ADB);
- სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 2012 წელს გამოყოფილია 50,0 მლნ ლარი. სულ 2009-2012 წლებში აღნიშნულ პროგრამაზე მიმართული იქნება 150,0 მლნ ლარი;